თინათინ კუპატაძე
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

კიბერფემინიზმი ირანში

რეზიუმე

2022 წლის 16 სექტემბერი ირანის თანამედროვე ისტორიასა და ქალთა მოძრაობაში გარდამტეხ მომენტს წარმოადგენს. მორალის პოლიციის მიერ სამოსის არასწორად ტარების გამო დაკავებული ახალგაზრდა ქურთი გოგონას, მაჰსა ამინის, სიკვდილმა ბიძგი მისცა ირანელ ქალებს, და არა მხოლოდ, სრული მოულოდნელობითა და მასშტაბურობით დაეწყოთ ბრძოლა როგორც საკუთარი, ისე ქვეყნის კეთილდღეობისთვის. 2022 წლის დემონსტრაციები ისლამური რევოლუციის შემდეგ გახლდათ პირველი, რომელიც მიმდინარეობდა ქალების სახელით და ქალთა რევოლუციის სახელით მოიხსენიება საერთაშორისო საზოგადოებისა და თავად აქტივისტების მიერ. დღეს ეს რევოლუცია მიძინების ფაზაშია, მაგრამ ირანის პარადოქსულობიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, ქალები და მათი მხარდამჭერები ისევ ქმნიდნენ ახალ, უკეთეს სცენარს ფარდის მიღმა, რომლიც უფრო რეალური შედეგების მომტანი იქნება.

საკვანძო სიტყვები: *ირანი, მაჰსა ამინი, ქალთა მოძრაობა, ქალთა უფლებები*

ქალთა ემანსიპაცია თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სენსიტიურ პრობლემას წარმოადგენს. ამ საკითხის პრობლემურობა განსაკუთრებით თვალშისაცემი და საგრძნობი მუსლიმურ სამყაროშია, სადაც ქალთა ბრძოლა საკუთარი უფლებებისა და იდენტობის განსაზღვრისათვის სხვადასხვა სპეციფიკით და თავისებურებით გამოირჩევა. ამ კუთხით საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ირანის ისლამური რესპუბლიკა, სადაც ქალთა მოძრაობის ისტორია საუკუნეზე მეტს ითვლის და თანამედროვე, გლობალურ, ეპოქაში ამ მოძრაობის კიდევ უფრო საინტერესო მიმართულებებს გვთავაზობს.

როდესაც ირანში ქალთა მოძრაობასა და ფემინიზმზე ვსაუბრობთ, შეგვიძლია პირობითად ფემინისტური მიმდინარეობის რამდენიმე ტიპი გამოვყოთ: ქალთა პრესა, ფემინისტური ლიტერატურა, ფემინისტური კინო, კიბერფემინიზმი. ყველა ეს ორიენტირებულია იმ მწვავე პრობლემის გარშემო, რასაც ისლამურ რესპუბლიკაში ქალის უფლებების დაცვა, ქალის როლის წინ წამოწევა და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხებისა თუ პრობლემების გაშუქება ჰქვია.

თანამედროვე ირანელი ქალები „ინფორმაციულ საუკუნეში“ (კასტელსი) სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. საინფორმაციო ტექნოლოგიების მზარდმა განვითარებამ ფართო ასპარეზი გახსნა ქალი აქტივისტებისათვის როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონალურ დონეზე. ეს არის

ეპოქა, სადაც მათ თანამედროვე ტექნოლოგიების ზეგავლენით ტრადიციისა და თანამედროვეობის, მოდერნულობის, სინთეზის საშუალებით შეუძლიათ შექმნან სრულიად ახალი იდენტობა, რომელიც თავისუფლად გააპროტესტებს რელიგიურ დოგმებს და იბრძოლებს ქალთა უფლებების გასაუმჯობესებლად.

ფემინიზმი, როგორც მასობრივი მოძრაობის ფენომენი, მე-19 საუკუნეში ყალიბდება და საწყის ეტაპებზე მისი მთავარი მოთხოვნა ქალებისათვის თანაბარი სამოქალაქო და არჩევნებში მონაწილეობის უფლებების მოპოვება გახლდათ. დღესდღეობით კი ის სხვადასხვა თეორიების, იდეოლოგიებისა და სოციალური მოძრაობების ერთობას წარმოადგენს, რომელთა მიზანიც ქალთა მდგომარეობისა თუ გამოცდილებების აღწერა და ანალიზი, ქალის პერსპექტივისა და ავტორიტეტის წინ წამოწევა და ქალთათვის თანასწორი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული უფლებების მოპოვებაა.[1]

21-ე საუკუნეში ინტერნეტი და სოციალური სივრცე ერთგვარი ვირტუალური ორგანიზაციის ფორმას იძენს, რომელიც შემდგომ სხვადასხვა მიმართულების აქტივისტებს, მათ შორის ფემინისტებსაც, თავიანთი ლოზუნგებისა თუ გარკვეული პროპაგანდის გავრცელების საშუალებას აძლევს. სწორედ ტექნოლოგიების, ინტერნეტისა და ქალთა აქტივობის სინთეზმა შექმნა კიბერფემინიზმის ცნება, რომელიც, როგორც მიმდინარეობა, 1990-იანი წლებიდან ყალიბდება და ხშირად ფემინიზმის მეოთხე ტალღადაც მოიხსენიება.

კიბერფემინიზმის ინტენსიური ხმარება ფემინისტების თუ მეცნიერ-თეორეტიკოსების წრეებში 1990-იანი წლებიდან იწყება და პარალელურად უკავშირდება როგორც ვარვიკის უნივერსიტეტის პროფესორის - ფილოსოფოს სეიდი ფლანთის, ასევე ავსტრალიური მედია კოლექტივის, VNS Matrix-ის სახელს.

სეიდი ფლანთი ტერმინში „კიბერფემინიზმი“ აერთიანებს იმ აქტივისტების საქმიანობას, რომლებიც ცდილობდნენ კიბერსივრცის, ინტერნეტის, ახალი მედიასაშუალებების თეორეტიზებას, კრიტიკას, ახალი, გენდერზე ორიენტირებული მიზნებისათვის გამოყენებას. ს. ფლანთი კიბერფემინიზმს განიხილავს როგორც ქალებისა და კომპიუტერების გაერთიანებულ ამბოხს პატრაიარქალური მსოფლმხედველობისა და წყობის წინააღმდეგ, - როგორც ვირტულაურ სამყაროს, რომელიც ანადგურებს წარმოდგენებს პატრიარქალური კონტროლის შესახებ.[2] VNS Matrix-ის „კიბერფემინისტური მანიფესტი 21-ე საუკუნისთვის“ მედიის საშუალებით გამოხატავდა მედიაში, კიბერფემინიზმის განვითარებად პოლიტიკურ პოზიციას, რომელიც ტექნოლოგიებს აფასებდა როგორც საზოგადოების პატრიარქალური ნორმების დარღვევის საშუალებას.

გენდერული კვლევების პროფესორის, ჯენი სანდენის თანახმად, კიბერფემინიზმი იყოფა ორ: თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად. პირველი ხასიათდება ფილოსოფიური გაგებით/დახვეწილობით, ხოლო მეორეს კი - პრაქტიკული საქმიანობით. მისი აზრით, კიბერფემინიზმის მრავალგვარობა ფემინისტური პრაქტიკის ფართო სპექტრის სიმბოლოა, რომელიც მოიცავს:

[1] „ფემინიზმი“, „CSS ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში“, 2016, dictionary.css.ge.

[2] Caroline Basett, “Cyberfeminism SPCL – With a Little Help from Our (New) Friends?” Mute, Vol 1 - No 8, 1997.

როგორც პოლიტიკურ თეორიებს, ისე სამეცნიერო ფანტასტიკის წერას, ტექნო-არტს, ვიდოეთამაშების დიზაინსა და აქტივიზმს.[3]

სოციოლოგი ჯესი დანიელსი კიბეფემინიზმს ფემინისტური პრაქტიკის ახლებური გამოხატულების საშუალებას უწოდებს, რომ ქალები სხვადასხვა გზით ინტერნეტს მოქნილად იყენებენ თვიანათი მატერალური და ფიზიკური პირობების გასაუმჯობესებლად, რაც როგორც აძლიერებს, ისე წინააღმდეგობას უწევს გენდერულ თუ რასობრივ იერარქიებს.[4]

ინდოელი მკვლევარი და მედია-კომუნიკაციის პროფესორი რადჰიკა გაჯჯალა უშვებს რა კიბერფემინიზმის სხვადასხვა მიდგომის არსებობას, ერთიანობაში მას განიხილავს როგორც საშუალებას ქალების გაძლიერებისათვის: „ის, რაც ყველა კიბერფემინსტს აერთიანებს, არის რწმენა იმისა, რომ ქალებს შეუძიათ გააკონტროლონ და შესაბამისად გამოიყენეონ კიბერტექნოლოგიები...რომ შექმნან ონლაინ სივრეცეები რაც გააძლიერებს ქალებს.“[5]

იტალიელი ფილოსოსფოსი ჯანი ვიტიმაო ნაშრომში „გამჭვირვალე ავიტარებს აზრს, რომ მასმედიას საინფორმაციო ტექნოლოგიებთან ერთად შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება ახალი პოლიტიკური საზოგადოების წარმოქმნის თვალსაზრიისთ. ესაა ვირტუალური სივრცის საზოგადეობა, რომელიც მოქმედებს კიბერ სივრცის საშულებით და და მათ მოქმედებაშია სწორედ ემანსიპაციის იმედი.[6]

21-ე საუკუნეში სწორედ ინტერნეტ სივრცე წარმოადგენს იმ ადგილს, რომელიც უმოკლეს დროში და ფიზიკური გარჯის გარეშე გვთავაზობს საერთო სახალხო აზრის ჩამოყალიბებისა და მასობრივი მობილიზაციის შესაძლებლობას. „ფიზიკური სხეულის არყოფნას ელექტრონულ სივრცეში და მის ანონიმურობას აქვს განმათავისუფლებელი ეფექტი რეპრესირებულ სოციალურ იდენტობებზე... „ელექტრონული ტექნოლიგიები“ იარაღია თავისუფლად არჩეული იდენტობის დიზაინისთვის/შექმნისთვის...“ ის გახდა იარაღი საკუთარი თავისა და დისიდენტური სურვილებისა და იდეების ფიქსირებისათვის, რის გაკეთებაც მკაცრი თეოკრატიული რეჟიმების ქვეშ აქამდე წარმოუდგენელი ჩანდა.[7]

ჰაბერმასის თანახმად, მასმედია, რომელიც ეფუძნება მასობრივი კომუნიკაციების ინსტიტუტს, წარმოადგენს ანგარიშგასაწევ ძალას. ახლო აღმოავლეთის რეგიონის განვითარებად ქვეყნებშიც სოციალური მედია მოსახლეობას საკუთარი თავის გამოხატვისა და დემოკრატიისთვის ბრძოლის საშუალებას აძლევს. სოციალური კამპანიის ყველა მონაწილე კი უნდა შეეცადოს უნივერსალური მოთხოვნების დაკმაყოფიილებას: **დამაჯერებლად წარმოაჩინოს საკუთარი თავი, გასაგები გახადოს თავისი მოთხოვნა, მიაღწიოს ურთიერთგაგებას სხვებთან. ამის შემდეგ ინდივიდს, რომელიც რეალურად იწყებს რაიმე ქმედებას სოციალური მედიის საშულებით, შეუძლია უკვე სხვა**

---

[3] Jenny Sunden, “Cyberfeminism”, 134.

[4] Jessie Daniels, “Rethinking Cyberfeminism(s), 101.

[5] Radhika HGajjala, “Third World’s Perspectives on Cyberfeminism”, 617.

[6] Babak Rahimi, “Cyberdissent: The Internet in Revolutionary Iran,” 111.

[7] Fereshteh Nouraie-Simone, “Wings of Freedom: Iranian Women, Identity and Cyberspace,” in On Shifting Ground: Muslim Women in the Global Era, ed. Fereshteh Nouraie-Simone (New York : Feminist Press, 2005), 124.

სოციალურ აქტივობებზე გადასვლა.[8] ანუ ის ჯერ ახდენს იდეის გენერირებას, ხსნის მის საფუძველს და მიზანს და მომხრეებისა და მიმდევრების მოპოვების შემდგომ იწყებს ან ვირტუალურ ან რეალურ კამპანიას.

წელი	**მომხმარებელი**	**მოსახლეობა**	**მოსახლ. % -ული მაჩვ.**	**მონაცემთა წყარო**
2000	250,000	69,442,905	3.8 %	IWS[9]
2002	5,500,000	69,442,905	7.5 %	IWS
2005	7,500,000	69,442,905	10.8 %	IWS
2008	23,000,000	65,875,223	34.9 %	IWS
2009	32,200,000	66,429,284	48.5 %	IWS
2010	33,200,000	76,923,300	43.2 %	IWS
2012	42,000,000	78,868,711	53.3 %	IWS
2015	46,800,000	81,824,270	57.2 %	IWS
2017	56,700,000	80,945,718	70.0 %	IWS
2018	56,700,000	82,011,735	69.1 %	IWS
2020	58,420,000	84,040,000	69.5%	https://datareportal.com/reports/digital-2020-iran[10]
2021	59,160,000	84,510,000	70.0 %	https://datareportal.com/reports/digital-2021-iran[11]
2022	71,940,000	85,520,000	84.1 %	https://datareportal.com/reports/digital-2022-iran[12]
2023 წლის დასაწყისში	69,830,000	88,840,000	78.6 %	https://datareportal.com/reports/digital-2023-iran[13]

ინტერნეტი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მასობრივი კომუნიკაციისა და საპროტესტო კამპანიების წარმოების საშულაბად 2009 წლიდან იქცა, რის ნათელ

[8] Farid Shirazi, "Social Media and the Social Movemnets in the Middle East and North Africa: A Critical Discource Analysis", Information Technology & People, Vol. 26 Iss 1 (2013): 28-49. Accessed September 15, 2023. http://dx.doi.org/10.1108/09593841311307123.

[9] "Internet Worlds Stats Usage and Population Statistics," Last Modified September 15, 2023. https://www.internetworldstats.com/

[10] "Digital 2020: Iran," Last Modified September 15, 2023. https://datareportal.com/reports/digital-2020-iran

[11] "Digital 2021: Iran," Last Modified September 15, 2023. https://datareportal.com/reports/digital-2021-iran

[12] "Digital 2022: Iran," Last Modified September 15, 2023. https://datareportal.com/reports/digital-2022-iran

[13] "Digital 2023: Iran," Last Modified September 15, 2023. https://datareportal.com/reports/digital-2023-iran

მაგალითსაც ირანის „მწვანე მოძრაობა“ (2009 წ.) და „არაბული გაზაფხული“ (2011 წ.) წარმოადგენს, რომლებიც მალევე მოინათლა “facebook” და “Twitter” რევოლუციებად.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ჩვენს ეპოქაში მასების მთავარი მანიპულატორი და სიმულაციის საშუალებაა. იმისთვის, რომ ადამიანმა შეიგრძნოს საკუთარი არსებობა, ის უნდა არსებობდეს ამ საკომუნიკაციო სივრცეში, ეკრანზე, ფეისბუქზე და ა.შ. (ჟან ბოდრიარი).

2009 წლიდან ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობა უპრეცენდენტოდ იზრდება და, შესაბამისად, ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პოლიტიკურ, კულტურულ თუ სოციალურ სფეროში არსებული სიახლეებისა თუ პრობლემების გლობალურ, კიბერსივრცეში, განხილვას. გამონაკლისს არც ქალთა საკითხი წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ირანში უმაღლესი სასწავლებლების დაახლოებით 70 %-ს ქალები შეადგენენ და ბევრ ისეთ სფეროში, როგორიცაა, მაგალითად, ინჟინერია, სამართალი და ა.შ. ახლა წამყვან პოზიციებსაც იკავებენ (განსხვავენბით 1980-იანი წლებისგან), მათი უკმაყოფილება თავიანთი მდგომარეობის გამო მაინც დიდია. შესაბამისად, ირანელი ქალები ფარულად თუ ღიად ცდილობენ დააფიქსირონ საკუთარი აზრი და პროტესტი. ამ პროტესტის გამოხატვის უნიკალურ საშუალებას ბოლო 10 წელია ინტერნეტი წარმოადგენს.

ირანის უახლეს ისტორიაში 2000-იანი წლებიდან იდგმება პირველი ნაბიჯები იმ მიმდინარეობის ჩამოსაყალიბებლად, რასაც ახლა უკვე კიბერფემინიზმის ტერმინის ქვეშ მოიაზრებენ.

პირველი საიტი, რომელიც ქალების ცხოვრებას აშუქებდა და მეტ-ნაკლებად ცდილობდა, დღის შუქზე გამოეტანა ირანულ საზოგადოებაში ქალთა ხვედრი და პრობლემები, გახლდათ „ზანან-ე ირან“. ხოლო, 2002 წელს ირანში ფუნქციონირებას პირველი ფემინისტური პროფილის ინტერნეტ გვერდი იწყებს „თრიბუნ-ე ფემინისთი“-ს სახით, რომელსაც ქალთა კულტურული ცენტრი ჩაუდგა სათავეში და, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის სეკულარული ფემინისტების მთავარ არტერიას წარმოადგენდა. მიუხედავად ქვეყნის რეფომატორული პოლიტიკისა, ვებ-საიტზე თავდასხმა ოთხჯერ განხორციელდა და საბოლოოდ კამპანიისა და კულტურული ცენტრის წარმომადგენლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უნდა შეეცვალათ საიტის სათაური, რადგან სიტყვა „ფემინისტი“ უარყოფით ასოციაციებს იწვევდა ხელისუფლებასა თუ კლერიკალებში. საიტის აქივისტებმა შემდგომ ახალ გვერდზე გააგრძელეს მოღვაწეობა, რომლესაც „ზანესთან“ დაერქვა. ვებ-გვერდების მთავარი რედაქტორი ფარვინ არდალანი გახლდათ, ირანელ ფემინისტებს შორის ერთ-ერთი აქტიური და გამოჩენილი ფიგურა, რომელიც ასევე ხელმძღვანელობდა „მილიონი ხელმოწერის“ კამპანიას.[14]

ქალთა კულტურული ცენტრის გარდა 2000-იანი წლების შუა ხანებში სხვა აქტივისტებიცა და არასამთავრობო ორგანიზაციებიც გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე, რომლებიც ქალთა უფლებების დაცვის პროპაგანდას სხვადასხვა ვებ-გვერდების მეშვეობით ეწეოდნენ. მათ შორის აღსანიშნავია: „მეიდან-ე ზანან“,

[14] ირანელი ქალი აქტივისტების მიერ წამოწყებული კამპანია, რომლიც მიზნად ისახავდა დისკრიმინაციული კანონების გაუქმებისათვის ბრძოლას. კამპანია 2006 წელს წამოიწყეს.

„ქანუნ-ე ზანან-ე ირან“, “თაყიირ ბარაიე ბარაბარი“ (საიტებზე წვდომა შეზღულია ან გაუქმებულია).

დღეს მოქმედი საიტებიდან აღსანიშნავია: „მადრესეიე ფემინისთი“ (http://www.feministschool.com/) და „ბიდარზანი“ (http://bidarzani.com/ 17182), რომელთა მთავარი მიზანია რაც შეიძლება მძაფრად და მწვავედ წარმოაჩინოს ქალებთან დაკავშირებული პრობლემები სხვადასხვა სახის პოსტების, ინტერვიუების, ჩანახატებისა თუ სტატიების სახით.

არსებობს ასევე ირანის ფარგლებს გარეთ მოქმედი ფემინისტური საიტები: „შაბაქეიე ჰამბასთეგიე ზანან“ http://www.iran-women-solidarity.net/, „მა, ზანან“, http://mazanan.com/, „ფოლ-ჰაიი ბარაიე ზანან“ http://bridgesforwomen.org/, მაჩოლენდი http://macholand.org/.

და ბოლოს, „ჩემი ფარული თავისუფლება“, რომელიც ამ ეტაპზე, ვფიქრობ, ყველაზე მასშტაბური კიბერ-კამპანიაა ინტერნეტსივრცეში. ის ქვეყნის გარედან იმართება, თუმცა, საკმაოდ ბევრი მომხრე და თანამონაწილე ჰყავს ქვეყნის შიგნითაც. სწორედ კიბერფემინიზმის ამ წამომადგენელს განვიხილავთ უფრო დეტალურად წინამდებარე სტატიაში.

„ჩემი ფარული თავისუფლება“ პარალალურად რამდენიმე სოციალურ ქსელში მიმდინარეობს და მოიცავს ფეისბუქს, ტვიტერს, ინსტაგრამსა და ტელეგრამს, სწორედ იმ სოციალურ ქსელებს, რომელთა აქტიური მომხმარებლებიც არიან ირანის ახალგაზრდა თაობის წარმომაგდნელები, მიუხედავად ინტერნეტის და მსგავსი სოციალური ქსელების მასობრივი შეზღუდვისა და დაბლოკვისა ხელისუფლების მიერ ირანში.[15] ინტერნეტ სივრცე და სოციალური ქსელები ირანის ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ყველაზე მოქნილ პლატფორმას წარმოადგენს სხვადასხვა იდეის მიმდევრების გასაერთიანებლად. ირანელი ქალებისთვისაც ის ერთგვარი ბრძოლის ადგილად იქცა არა მხოლოდ ხელიუსფლების წინააღმდეგ, არამედ სოციალური და კულტურული პრობლემების გასაპროტესტებლადაც.

კამპანია „ჩემი ფარული თავისუფლება“ 2014 წელს წამოიწყო ამერიკაში მცხოვრებმა ირანელმა ემიგრანტმა ჟურნალისტმა მასიჰ ალინეჟადმა. „ჩემი ფარული თავისუფლების“ ინტერნეტ გვერდზე ვკითხულობთ: ჩემი ფარული თავისუფლება ონლაინ სოციალური კამპანიაა, სადაც ქალებს შეუძლიათ გააზიარონ თავიანთი ფოტოები ჰიჯაბის გარეშე... კამპანია მხარს უჭერს ირანელი ქალების ფუნდამენტურ უფლებას, თავად გადაწყვიტონ რა ჩაიცვან ან როგორ ატარონ თავსაფარი. საუბარია არჩევანის თავისუფლებაზე... მათი ისტორიებისა და ფოტოების გაზიარებით, იმედი გვაქვს, ამ ირანელი ქალებისა და მამაკაცებისთვის მოვიპოვებთ საერთაშორისო მხარდაჭერას რელიგიურ ტირანიასთან ბრძოლის გზაზე.”[16]

ის ფაქტი, რომ კამპანიის მთავარ ლოზუნგად ალინეჟადმა ჰიჯაბის იძულებითი ტარების წინააღმდეგ ბრძოლა აირჩია, ვფიქრობთ, განაპირობა

[15] 2022 წლის მონაცემებით, ირანი მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს ინტერნეტის ცენზურის თვალსაზრისით. (https://english.alarabiya.net/News/middle-east/2023/01/24/Iran-second-worst-country-for-internet-censorship-in-2022-following-protests-Report?fbclid=IwAR0F3HrkPtl1JbjwhlWlSt-xazHmkAn8NzxFuJDkhiZ5YlWQEBZMb3Nk3A8 26/10/23)

[16] My Stealthy Freedom Mission, https://www.mystealthyfreedom.org/mission/, Last Modified November 16, 2023

ზოგადად ამ საკითხის მიმართ ირანელი მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი ახალგზარდა ნაწილის, სენსიტიურობამ. ისტორიულად ჰიჯაბის თემა ყოველთვის აქტუალური იყო ირანში და მისი ტარების აკრძალვისა თუ ძალდატანების კანონები უარყოფით ზეგავლენას ახდენდა ქალებზე. სწორედ მოსახლეობის გულისტკივილის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ იდეის ავტორის პირველი პოსტი ფეისბუქ გვერდზე, სადაც მან განათავსა საკუთარი სურათი როგორც ჰიჯაბით, ისე - მის გარეშე და ხაზი გაუსვა თავის მოთხოვნას ჰიჯაბის ნებაყოფლობითი ტარების შესახებ. იმავე ქმედებისაკენ მოუწოდა თავის მომხრეებსა და მომავალ მიმდევრებს: „სოციალური მედია ახლა ქალებს აძლევს ტრიბუნას, ძალას, იპოვონ ერთმანეთი, მიხვდნენ, რომ მარტო არ არიან ამ ბრძოლაში. სოციალური მედია მათ ეხმარება გაძლიერებაში“ – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ალინეჟადმა.[17] კამპანიას და მის ავტორს დაწყების დღიდან უამრავი მომხრე და მონაწილე გამოუჩნდა და დღეს მათ ფეისბუქზე უკვე 1,054,232 (ჩემი ფარული თავისუფლება), 7700 (მასიჰ ალინეჟადი), ტვიტერზე - 13,400 (ჩემი ფარული თავისუფლება), 700,000 (მასიჰ ალინეჟადი), ინსტაგრამზე 8, 700,000 (მასიჰ ალინეჟადი), ტელეგრამზე 122, 693 (მასიჰ ალინეჟადი) მიმდევარი ჰყავთ.

ერთი შეხედვით, უწყინარი კამპანია, რომელიც მხოლოდ ჰიჯაბის ნებაყოფლობით ტარებას ითხოვს ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, ბევრ მტკივნეულ და მნიშვნელოვან საკითხს ეხება და თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოს წარმოადგენს:

„ფარული თავისუფლება უფრო მეტად სასიამოვნოა, როდესაც იზრდები რელიგიურ ოჯახში, რომელიც შენს არჩევანს პატივს სცემს, მაგრამ ის [თავისუფლება] კიდევ უფრო მეტად ტკბილია, როდესაც შენი საკუთარი მამა გადაწყვეტს, რომ გადაგიღოს შენი ფარული თავისუფლების ამსახველი ფოტო სპარსეთის ყურის ნაპირზე, თავისი საკუთარი კამერით და [ისიც] ბედნიერი იქნება, როდესაც შენ ამას შენი ქვეყნის სხვა ქალებს გაუზიარებ. იმედი მაქვს, რომ დადგება დღე, როდესაც ჩვენ ერთად ვიზეიმებთ თავისუფლებას.“[18]

ცხადია, რომ პოსტის ავტორი მხოლოდ ჰიჯაბის იძულებითი ტარების კანონისგან გათავისუფლებას არ ელის, არამედ დროს, როდესაც ქალისა და მამაკაცის უფლებები რაღაც დონეზე ერთმანეთის თანაბარი იქნება იმდენად, რომ ქალს საკუთარი არჩევანის საფუძველზე შეეძლოს ცხოვრება, მოგზაურობა, გათხოვება, განათლების მიღება.

„თავისუფლება და თანასწორობა ჩემი უფლებებია. რატომ უნდა მეპყრობოდნენ როგორც მეორე რიგის (კლასის) მოქალაქეს? რატომ უნდა მჭირდებოდეს ჩემი ქმრის ნებართვა პასპორტის მისაღებად? რატომ აძლევს ქმარს კანონი უფლებას, რომ აუკრძალოს ცოლს მოგზაურობა სადაც უნდა? რატომ არ მიიჩნევა ქალზე ძალადობა ჩემს ქვეყანაში სერიოზულ საკითხად? რატომ მეკუთვნის მემკვიდეობის ნახევარი ძმისგან განსხვავებით? მე ვაპროტესტებ არა მხოლოდ იძულებით ჰიჯაბს, არამედ ყველა დისკრიმინაციულ კანონს, რომელიც

[17] “Iranian women risk arrest as they remove hijabs,” Interview with Masih Alinejad, Last Modified October 10, 2018. https://www.france24.com/en/20180209-51percent-iran-women-remove-veils-protest-masih-alinejad-future-dads-preparation-class

[18] My Stealthy Freedom. http://mystealthyfreedom.net/fa/campaigns/items/3301/, Last Modified October 11, 2018.

ჩემს ღირსებას უარყოფს. მე თავისუფალი პიროვნება ვარ და არ დავუშვებ, რომ ჩემი უფლებები უარყონ რელიგიის სახელით.“[19]

2014 წლიდან მოყოლებული ბევრი საინტერესო და ზოგჯერ პროვოკატორული კამპანია განხორციელდა „ჩემი ფარული თავისუფლების“ ფარგლებში, ტრანსფორმაცია განიცადა ქალების ფოტოებმაც. თუკი თავდაპირველად მაქსიმალურად ცდილობდნენ ისინი ანონიმურად დარჩენას და მხოლოდ სახის ბუნდოვანი გამოსახულებით ან შორი კადრით იღებდნენ სურათს თავსაფრის გარეშე, ახლა უკვე ყველანაირი შეფარვის გარეშე აქვეყნებენ საკუთარ ფოტოებს, ვიდეოებსა თუ პოსტებს. პოსტები უმეტესად ე.წ. „ჰეშთეგ“ სიმბოლოთი ქვეყნდება, რის გარეშეც დღევანდელი ვირტუალური და სოციალური სივრცე თითქმის წარმოუდგენელია, მითუმეტეს, როდესაც საქმე კამპანიას ეხება.

თავდაპირველად “ჰეშთეგი” გამოყენებული იქნა 2007 წელს სოციალურ ქსელ ტვიტერში კონკრეტული საკითხისადმი ხალხის მასების გაერთიანებისა და ყურადღების მისაპყრობად. ის არის სიმბოლო, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა იდეის, საკითხის, პრობლემის გარშემო ინტერნეტ მომხმარებელსა და კონკრეტული საკითხით დაინტერესებულ პირებს და მოვლენის, ფაქტის თუ კამპანიის გარშემო მათი ყურადღების კონცენტრირებას ახდენს. ე.წ. “ჰეშთეგი” დღეს კიბერ-ფემინისტებისათვის საკმაოდ მოქნილ იარაღს წარმოადგენს საკუთარი იდეების გენერირებისთვის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონკრეტული სიმბოლოთი საკითხების პროპაგანდა მუდმივი არაა, ერთს ყოველთვის მეორე ანაცვლებს, მაგრამ შედეგი უმეტესად დადებითია, რაც დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, ორგანიზატორის მოქნილობასა და გამჭრიახობაზე, რამდენად სწორად გათვლის კონკრეტული იდეის პროპაგანდას. დასავლეთის შემთხვევაში ასეთი იყო, მაგალითად, #yesallwomen, #bringbackourgirls, #metoo და ა.შ.

“ჩემი ფარული თავისუფლება” ე.წ. “ჰეშთეგიანი” პროპაგანდის რამდენიმე ტალღას მოიცავს. ნებისმიერ პოსტს, ფოტოს ან ვიდეოს, რომელიც იდება კამპანიის მხარდამჭერთა მიერ სოციალურ ქსელში, თან ერთვის აუცილებლად კამპანიის ძირითადი სახელწოდება ფორმით: #mystealthyfreedom #آزادییواشکیمن ხოლო შემდეგ - უკვე ის კონკრეტული პროტესტი, რომელიც დროის კონკრეტულ მონაკვეთშია აქტუალური. ერთ-ერთი პირველი ასეთი გახლდათ #myforbiddensong - (ჩემი ხმა, ჩემი უფლებაა) #صدایمنحقمن, რომელიც მიზნად ისახავდა მუსიკალურ სფეროში ქალებისათვის დაწესებული შეზღუდვების მოხსნის მოთხოვნას. თუმცა ამ კამპანიამ, ვინაიდან “ჩემი ფარული თავისუფლების” წამოწყებიდან მალევე იქნა გაშვებული ინტერნეტსივრცეში, დიდი პოპულარობა ვერ მოიპოვა. ხელისუფლებისთვისაც საკმარისი აღმოჩნდა ქალების მხრიდან ნაკლები აქტიურობის ფაქტი, რომ დაეგმო მისთვის მიუღებელი სოციაულური მოძრაობა: “ფარულმა თავისუფლებამ მარცხი წელში გამართვამდე განიცადა. არავინ აგზავნის საკუთარი სიმღერის ამსახველ ვიდეოებს. სავარაუდოდ, ის ფოტოებიც, რომლებიც გადაღებულია იძულებითი ჰიჯაბის გასაპროტესტებლად, ყალბია...“

[19] My Stealthy Freedom. http://mystealthyfreedom.net/fa/campaigns/items/3301/, Last Modified October 11, 2018

რის საპასუხოდაც ამავე კამპანიის ბლოგზე ვკითხულობთ: „პროტესტის გამოსახატავად საელჩოს კედლებზე ასვლა არაა საჭირო.“[20]

#MenInHijab #مردان-باحجاب „ჩემი ფარული თავისუფლების“ კამპანიის დაწყებიდან ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული „ჰეშთეგ“ ტალღა გახლდათ საერთაშორისო მასშტაბით. მისი მიზანი იყო მამაკაცების სოლიდარობის დაფიქსირება, მხარდაჭერა გამოეცხადებინათ ქალებისათვის და გაეზიარებინათ ის „უსიამოვნო“ შეგრძნება, რასაც ჰიჯაბის ტარების იძულებითი ფორმა იწვევს. აქციის განმავლობაში ირანელი მამაკაცები ფოტოებს იღებდნენ თავსაფრით და აქვეყნებდნენ სხვადასხვა სოციალურ ქსელში, როგორც „ჩემი ფარული თავისუფლების“ გვერდზე, ისე - დამოუკიდებლადაც.

„ვიმედოვნებთ, რომ ერთ დღეს ყველა ოჯახში ყველას ინდივიდუალური თავისუფლება დაფასდება. არ გვჯერა, რომ ოჯახის ღირსება ვინმეს იძულებაში გამოიხატება, ჰიჯაბი ატაროს...“[21]

#IranianWomenLoveCycling - #من_عاشق_دوچرجه-ام - 2016 წლის სექტემბერში სულიერმა ლიდერმა ალი ხამენეიმ გამოსცა ფათვა, რომელიც ქალებს საზოგადოებრივ ადგილებსა და უცხო პირთა თანდასწრებით ველოსიპედის ტარებას უკრძალავდა.[22] ბუნებრივია, ფათვის გამოცემას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა ქალების მხრიდან. არც მასიჰ ალინეჟადის კამპანია დარჩა ჩუმად. ჟურნალისტმა „ფარული თავისუფლების“ ფარგლებში მოუწოდა ქალებს, რომ გამოექვეყნებინათ თვიანთი ფოტოები ველოსიპედით და ამ ფორმით კიდევ ერთხელ გამოეცხადებინათ პროტესტი და დაუმორჩილებლობა ქვეყნის ხელისუფლებისა და ძალდატანებითი კანონების წინააღმდეგ: „ჩვენ არასოდეს შევიცვლით ცხოვრების სტილს ფათვის ან მორალის პოლიციის [სურვილის] მიხედვით.“[23]

#WhiteWednesdays 2017 წლის მაისში დაწყებული ე.წ. “ჰეშთეგ” ტალღაა, რომელიც უკვე კამპანიად იქცა და არნახული რაოდენობით მონაწილის ჩართვა გამოიწვია. აღნიშნული “ჰეშთეგკამპანიის” დაანონსებიდან სულ ხუთიოდე კვირაში გამოქვეყნებული საპროტესტო ფოტო თუ ვიდეო მასალის რაოდენობა სამასს აღწევდა, ხოლო დღეს მისი რიცხვი რამდენიმე ათასია. კამპანია არც ისე მოკლევადიანი აღმოჩნდა, როგორც ეს, რეალურად, “ჰეშთეგ” ტალღების დროს ხდება ხოლმე. პირიქით, დღეს ის გავრცობილი სახითაა ჩვენ წინაშე. “თეთრი ოთხშაბათი” მალე გადაიზარდა უფრო რადიკალური და მწვავე პროტესტის ფორმაში, როდესაც ქალებმა არათუ თეთრი თავსაფრით გამოთქვეს პროტესტი ჩადრის იძულებითი ტარების კანონის წინააღმდეგ, არამედ თავსაფრის გარეშე

---

[20] My Stealthy Freedom. http://mystealthyfreedom.net/fa/campaigns/items/3301/, Last Modified October 11, 2018.

[21] “Man in Hijab,” Last Modified September 17, 2018. https://www.facebook.com/StealthyFreedom/photos/a.858877157459713/1457138630966893/?type=3&theater

[22] ფათვის გამოცემა მოჰყვა ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას - „სამშაბათი მანქანის გარეშე“. მანქანები, ბუნებრივია, ველოსიპედებით ჩანაცვლდა.

[23] “Iranian Women Love Cycling,” Last Modified October 20, 2020. https://twitter.com/search?q=%23IranianWomenLoveCycling%20&src=typd&lang=en

დაიწყეს ვიდეოების ატვირთვა ქალაქის ცენტრიდან თუ სხვა ხალხმრავალი ადგილებიდან, სადაც ისინი საკუთარი თავის დემონსტრაციას ახდენდნენ მათთვის სასურველი ვიზუალითა და ფორმით. უთავსაფრო სურათებისა და ვიდეოების გამოქვეყნებას წინ საკმაოდ მწვავე მოვლენები უძღოდა. 2017 წლის მიწურულს, 27 დეკემბერს, მორიგ "თეთრ ოთხშაბათს" რევოლუციის ქუჩაზე, გამორჩეულ, შემაღლებულ ადგილზე, გამოჩნდა უთავსაფრო ახალგაზრდა გოგონა, ვიდა მოჰამადი, რომელიც ჯოხზე წამოცმული თეთრი თავსაფრის ფრიალით მდუმარედ აპროტესტებდა ჰიჯაბის ტარების იძულებით ფორმას. მოჰამადის პროტესტი ირანში გამართულ მასობრივ ანტი-სამთავრობო გამოსვლებს დაემთხვა და, შესაბამისად, მალვე მოხვდა საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში, თუმცა მას არანაირი პოლიტიკური საფუძველი ან კავშირი აღმიშნულ საპროტესტო გამოსვლებთან არ ჰქონია. ვიდა მოჰამადი პროტესტის ფორმის გამო დააპატიმრეს. მისი გაქრობის ფაქტმა გააქტიურა ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტები თუ აქტივისტები, რომელთაგანაც გამოვყოფთ Amnesty International-სა და ნასრინ სეთუდეს. სოციალური ქსელები ახალმა „ჰეშთეგკამპანიებმა" მოიცვა- #where_is_she - #قیام_بهمن #ویداموا‌حد #تظاهرات_سراسری -რომელიც გასცდა „ჩემი ფარული თავისუფლების" ჩარჩოებს და უფრო გლობალური ხასიათი შეიძინა, რაც ამ საკითხის პოპულარიზაციისა და პიარისთვისაც საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა. 2018 წლის იანვარი და თებერვალი სოციალური ქსელებში ერთ-ერთ აქტიურ "ტრენდებს" #girlsofrevolutionstreet- #دختران_انقلاب #دختران_خیابان_انقلاب წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ვირტუალური პროპაგანდით არ შემოფარგლულა და ირანელი გოგოების და არამხოლოდ, მოკლევადიან მდუმარე აქციებში გადაიზარდა, რომელიც ვიდა მოჰამადის გამოსვლის იდენტური იყო. ახალგაზრდა აქტივისტების მცირეხნიანი გამოსვლები დაპატიმრებების სერიით დასრულდა. დააპატიმრეს 30-მდე გოგონა.[24]

#WhiteWednesdays-ს ერთგვარ ქვეტალღას წარმოადგენდა #MyCameraIsMyWeapon #دوربین_ما_اسلحه_ما. შინაარსიდანაც ვიგებთ, თუ რას წარმოადგენს აღნიშნული ტრენდი „ჩემი კამერა ჩემი იარაღია". ნებისმიერი ადამიანის უფლებების შემლახველი ფაქტი, რაც ფიქსირდება უთავსაფრო ან ისლამური ნორმებისთვის შეუსამაბოდ ჩაცმული ქალების მიმართ ე.წ. „ბად ჰიჯაბის" კამპანიის ფარგლებში, ტაბუირებულ თემებზე საუბრების ამსახველი კადრები ქალების კონსერვატორ ნაწილთან და ა.შ. ვიდეოს ფორმატში ჩაწერილი ქვეყნდება „ჩემი ფარული თავისუფების" გვერდების მეშვეობით.[25]

2022 წლის სექტემბერში, მორალის პოლიციის მიერ სამოსის არასწორად ტარების გამო დაკავებული 22 წლის ქურთი გოგონას, მაჰსა (ჟინა) ამინის, სიკვდილის შემდგომ, როდესაც ქვეყანა არნახულმა დემონსტრაციებმა მოიცვა, როგორც მთელი ინტერნეტსივრცის, ისე „ჩემი ფარული თავისუფოლების" კამპანიის უმთავრეს „ჰეშთეგ" ლოზუნგად იქცა #zan_zendegi_azadi #زن_زندگی_آزاد (ქალი_სიცოცხელე_თავისუფლება). აღნიშნული სლოგანის გარშემო

---

[24] **"از «دختر خیابان انقلاب» تا «دختران خیابان انقلاب"**, Last Modified October 20, 2019. https://www.radiofarda.com/a/f4_girl_enqelab_street_campign_antiveil_iran/29005511.htm

[25] „My Camera is My Weapon," Last Modified October 22, 2020. https://twitter.com/AlinejadMasih/status/1051557630186020869

ერთსულოვნად გაერთიანდნენ სხვადასხვა ეროვნების, რელიგიური შეხედულებისა თუ ფენის წარმომადგნელები, ხოლო „ჩემი ფარული თავისუფლება“ და მისი ავტორი მასიჰ ალინეჟადი ამ საპროტესტო აქციების და მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ გამშუქებლად იქცა, რომელიც ცდილობდა, მაქსიმალურად გამოექვეყნებინა საპროტესტო მოძრაობის კადრები და თავისი მიმდევრებისთვის გაეცნო ყველა იმ ადამიანის ისტორია, რომელიც რეჟიმის სისასტიკეს ემსხვერპლა. თუკი, 2022 წლამდე მასიჰ ალინეჟადის ფიგურა, როგორც ქალთა უფლებების დამცველისა და ამ კუთხით მნიშვნელოვანი აქტორისა, არასერიოზულად აღიქმებოდა, 2022 წლის შემდგომ მან ეს შეხედულება მნიშვნელოვნად შეარყია. იგი იქცა ირანლი ქალების ელჩად საერთაშორისო ასპარეზზე როგორც ინტერნეტსივრცეში, ისე - გამორჩეულ საერთაშორისო ღონისძიებებზე. ამის დასტურია საერთასორისო ჯილოდებიც, რომლემაც რაოდენობრივად გასული წლების მანძილზე მიებული ჯილოდოების რაოდენობას გადაჭარბა.[26]

ირანული კიბერფემინიზმის აყვავების ხანა შედარებით ლიბერალური პრეზიდენტის ჰასან რუჰანის მმართველობის პერიოდს ემთხვევა. თუმცა, ყოველთვის იყო აქტუალური ის კითხვა, თუ რამდენად იქნებოდა შესაძლებელი მასების მობილიზება და გაერთიანება ონლაინ რეჟიმში იმ ქვეყანაში, სადაც დროგამოშვებით და სხვადასხვა ინტენსივობით იბლოკებოდა და იფილტრებოდა ინტერნეტი თუ სოციალური ქსელები დასავლეთის მავნე ზეგავლენისგან თავის დასაცავად. როგორ შეიქმნებოდა ის ვირტუალური სოციუმი, რომელიც შემდგომ სოციალურ მოძრაობას მოგვცემდა და უკვე ფიზიკურ სივრცეში გადმოინაცვლებდა.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა 2022 წლის მოვლენებამდე ჰიპოთეზის დონეზე შეიძლებოდა, მხედველობაში თუ მივიღებდით „არაბული გაზაფხულის“ გამოცდილებას. მაჰსა ამინის სიკვდილმა რადიკალურად შეცვალა ირანის რეალობა. მოსახლეობა აპროტესტებდა ჰიჯაბის იძულებითი ტარების წესს, რის წინააღმდეგაც საპროტესტო მუხტი, გარკვეული დოზით, მასიჰ ალინეჟადის სხვადასხვა კამპანიებმაც მოამზადა. აღნიშნულმა აქციებმა ისიც დაადასტურა, რომ მხოლოდ კიბერსივრცეში წარმოებული კამპანია კატალიზატორი მოვლენების, ან კონკრეტული გეგმის გარეშე უშედეგო იქნება.

დღეს ირანში კიბერფემინიზმის არსებობის შესახებ საუბარი რთულია, რადგან 2022-23 წლების მასობრივი საპროტესტო გამოსვლების გამო ინტერნეტზე უმკაცრესი ცენზურაა დაწესებული. ინტერნეტისა და სოციალური ქსელების გარეშე კი კიბერფემინიზმის არსებობის განხილვა წარმოუდგენელია. თუმცა, ირანი პარადოქსების ქვეყანაა. როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი

[26] მასიჰ ალინეჯადის ჯილდოები 2013-22 წწ: AIB მედია ბრწყინვალების ჯილდო რადიო ფარდას ნაწარმოებისთვის "88-ის მსხვერპლი", 2013 წლის ნოემბერი; ქალთა უფლებების პირველი ჯილდო ჟენევის სამიტზე, 2015 წელი; Freethinker Prize შვეიცარიის თავისუფალ მოაზროვნეთა ასოციაციის მიერ, 2017; America Abroad Media ჯილდო, 2019 წლის ნოემბერი; მორალური გამბედაობის ჯილდო ამერიკის ებრაული კომიტეტის (AJC), 2022 წლის ივნისი; Oxi Courage ჯილდო ირანის სავალდებულო ჰიჯაბის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, 2022 წლის ოქტომბერი; ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის ინსიტუტის Scholar-Statesman Award ქალთა უფლებების, თავისუფლებისა და პოლიტიკური ცვლილებებისთვის ბრძოლისათვის 2022 წლის ნოემბერი; Global Impact Award, 2022 დეკემბერი.

აქტივისტი, მეჰრანგიზ ქარი ამბობს, „ირანი პარადოქსული ქვეყანაა. ის დიქტატურის ფარდის ქვეშ ქმნის როლებს და შემდეგ სრულიად მოულოდნელად დიდ სცენაზე გამოდის.“ ისევ ამ მოულოდნელობისა და პარადოქსულობის იმედად თუ იქნება დღეს ირანი. ამასვე გვპირდება ალინეჟადიც: „ეს არ არის რევოლუცია, რომელიც ერთ ღამეში გაიმარჯვებს; დრო დასჭირდება. პირველმა ტალღამ დაასუსტა რეჟიმი. მეორე ტალღა ახლა ვითარდება. ამასობაში ჩვენ უნდა შევთანხმდეთ პოლიტიკურ ღირებულებებზე, რომლის გარშემოც შეგვიძლია გავერთიანდეთ. და სწორედ აქ ვართ ახლა. ჩვენ ვმუშაობთ კულისებში, რათა გავაერთიანოთ ოპოზიცია, შევქმნათ საერთო ფრონტი, რომელსაც შეუძლია შეხვდეს დემოკრატიული ერების ლიდერებს და სთხოვოს მათ ირანის რეჟიმის იზოლაცია. ისლამურმა რესპუბლიკამ იმედის გარდა ყველაფერი წაგვართვა. დარწმუნებული ვარ, ამ ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვებთ.“[27]

დასკვნის სახით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ირანი მართლაც გამორჩეულია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ქალთა მოძრაობა განვითარების განსხვავებულ, ავთენტურ ეტაპებს გადიოდა, დაწყებული სეკულარული ფემინიზმიდან – ისლამური ფემინიზმითა და კიბერფემინიზმით დამთავრებული. ქალთა მოძრაობისა და საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლის ყოველი ასპექტი უნიკალური და ირანული სულის მატარებელია. კიბერფემინიზმის ირანული გაგებაც ამ მიმდინარეობის პირვანდელი და დასავლური ცნებისგან სრულიად განსხვავებულია. ეს არის მოძრაობა კიბერსივრცეში, სადაც ქალები, და არამხოლოდ, სიმბოლურად ითხოვენ ჩადრის იძულებითი ტარებისგან გათავისუფლებას, რაც რეალურად ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლას გულისხმობს ისლამური დიქატატორული მმართველობის ქვეშ. ექნება თუ არა მომავალი კიბერფემინიზმს ირანში და შეძლებს თუ არა აღნიშნული მოძრაობა კონკრეტული შედეგის მიღწევას, ისევ და ისევ დროის საკითხია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. CSS ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, ფემინიზმი, სოციალურ მეცნიერებატა ცენტრი, 2016;
2. Basett, Caroline, “Cyberfeminism SPCL – With a Little Help from Our (New) Friends?” Mute (1997) Vol 1 - No 8;
3. Sunden, Jenny, “Cyberfeminism”, in The Coincise Encyclopedia of Communication, edited by Wolfgang Donsbach, 134. West Sussex, England: Wiley Blackwell, 2015.
4. Jessie Daniels, “Rethinking Cyberfeminism(s),” Women's Studies Quarterly vol. 37, numbers 1&2: (Spring-Summer 2009), 101-124, accessed September 20, 2023. doi.org/10.1353/wsq.0.0158;
5. Gajjala, Radhika “Third World’s Perspectives on Cyberfeminism”, Development in Practice, Vol. 9, No. 5: (November 1999): 616-619, accessed September 25, 2023, https://www.jstor.org/stable/23317590.

[27] “Masih Alinejad: We Want the West Isolate the Islamic Republic,” Last Modified October 25, 2023. https://english.elpais.com/international/2023-02-22/masih-alinejad-we-want-the-west-to-isolate-the-islamic-republic.html

6. Rahimi, Babak. “Cyberdissent: The Internet in Revolutionary Iran,” MERIA Journal, Vol. 7, No. 3: (2003), 101-115.
7. Nouraie-Simone, Fereshteh, “Wings of Freedom: Iranian Women, Identity and Cyberspace,” in On Shifting Ground: Muslim Women in the Global Era. ed. Fereshteh Nouraie-Simone, 124- 14. New York : Feminist Press, 2005
8. Shirazi, Farid, “Social Media and the Social Movemnets in the Middle East and North Africa: A Critical Discource Analysis”, Information Technology & People, Vol. 26 Iss 1 (2013): 28-49, Accessed September 15, 2023. http://dx.doi.org/10.1108/09593841311307123;
9. IWS. “Internet Worlds Stats Usage and Population Statistics,” Accessed September 15, 2023. https://www.internetworldstats.com/
10. Datareportal. “Digital 2020: Iran,” Accessed 15, 2023. https://datareportal.com/reports/digital-2020-iran
11. Datareportal. “Digital 2021: Iran,” Accessed September 15, 2023. https://datareportal.com/reports/digital-2021-iran
12. Datareportal. “Digital 2022: Iran,” Accessed September 15, 2023. https://datareportal.com/reports/digital-2022-iran
13. Datareportal. Digital 2023: Iran,” Accessed September 15, 2023. https://datareportal.com/reports/digital-2023-iran
14. France 24. “Iranian women risk arrest as they remove hijabs,” Interview with Masih Alinejad, Accessed November 13, 2023. https://www.france24.com/en/20180209-51percent-iran-women-remove-veils-protest-masih-alinejad-future-dads-preparation-classes;
15. My Stealthy Freedom. http://mystealthyfreedom.net/fa/campaigns/items/3301/, Accessed October 11, 2018;
16. My Stealthy Freedom Mission. https://www.mystealthyfreedom.org/mission/, Accessed on November 16, 2023
17. My Stealthy Freedom, “Man in Hijab,” Accessed on October 28, 2023 https://www.facebook.com/StealthyFreedom/photos/a.858877157459713/1457138630966893/?type=3&theater
18. My Stealthy Freedom, “Iranian Women Love Cycling”, Accessed on November 28, 2023 https://twitter.com/search?q=%23IranianWomenLoveCycling%20&src=typd&lang=en
19. "از «دختر خیابان انقلاب» تا «دختران خیابان انقلاب"”, Radiofarda**.** Accessed on October 20, 2019. https://www.radiofarda.com/a/f4_girl_enqelab_street_campign_antiveil_iran/29005511.htm
20. My Stealthy Freedom. „My Camera is My Weapon,“ Last Modified October 22, 2020. https://twitter.com/AlinejadMasih/status/1051557630186020869
21. Interview with Masih Alinejad. “Masih Alinejad: We Want the West Isolate the Islamic Republic,” Accessed on October 25, 2023. https://english.elpais.com/international/2023-02-22/masih-alinejad-we-want-the-west-to-isolate-the-islamic-republic.html